



თბილისი. 20 აგვისტო

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 20 აგვისტოს გამართული სხდომის გადაწყვეტილება

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პოლიტიკის ძირითადი განაკვეთის (ერთვერიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთი) 1 პროცენტული პუნქტით შემცირების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11 პროცენტს შეადგენს.

კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ ქვეყანაში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად, ლიკვიდურ რესურსებზე მოთხოვნის გაზრდისა და ეკონომიკური აქტივობის შესაძლო შენელების გამო, მიზანშეწონილია, მონეტარული პოლიტიკის გარკვეული შემსუბუქება. ამასთან, ბოლო პერიოდის პროგნოზებით, ინფლაციაზე მოქმედი ფაქტორები შემცირებისკენ არის მიმართული. თუმცა ზემოაღნიშნული მოვლენების შედეგად ინფლაციის მოსალოდნელი დინამიკის მიმართ გაურკვეველობა გაზრდილია, ვინაიდან, ამ ეტაპზე, რთულია ცალკეული მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ტენდენციების ზუსტი პროგნოზის გაკეთება.

აღსანიშნავია, რომ საბანკო სისტემამ გამოავლინა მდგრადობა კრიზისული სიტუაციის მიმართ. ამასთან, გაზრდილი რისკების გამო სესხების ზრდის ტემპის შენელებას ექნება ადგილი, რაც შეამცირებს ინფლაციურ ზეწოლას.

საინვესტიციო გარემოს გაუარესების გამო, სავარაუდოდ, კაპიტალის შემოდინება, წლის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში, გარკვეულწილად შენელდება. ასევე გაგრძელდება მონეტარული აგრეგატების ზრდის ტემპის შენელება. აგვისტოში საერთაშორისო სასაქონლო ბაზრის ძირითად სასაქონლო ჯგუფებზე, ნავთობპროდუქტებსა და მარცვლეულზე, შეინიშნება ფასების დაწვეის ტენდენცია. გრძელდება საბაზო ინფლაციის მაჩვენებლის შემცირება.

იმ დაშვებების გათვალისწინებით, რომ არ მოხდება დამაბულობის კიდევ უფრო მეტად ესკალაცია და საერთაშორისო ბაზრებზე ძირითად სასაქონლო პროდუქტებზე ფასების ცვლილება შესაბამისობაში იქნება არსებულ პროგნოზებთან, არსებული პოლიტიკის განაკვეთი შესაბამისობაშია წლის ბოლოსათვის ინფლაციის 8 პროცენტის ფარგლებში მოქცევის ამოცანასთან.

საქართველოს ეროვნული ბანკი, ინფლაციის მიზნობრივ ჩარჩოებში მოსაქცევად, მომავალშიც ყურადღებით დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და შესაბამის გადაწყვეტილებებს მიიღებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდგომი სხდომა გაიმართება 17 სექტემბერს.

საკონტაქტო პირი:
გიორგი კალანდაძე,

ტელ.: (995 32) 442 488;
ელ. ფოსტა: nbgprpress@nbg.gov.ge